



**1. ზოგადი ხედვა: რა გესახებათ თქვენი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ყველაზე დიდ ამოცანად?**

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი ამოცანაა მოპოვებული სახელმწიფოებრიობის შეუქცევადობის უზრუნველყოფა: ა) მოქალაქეობრივი ცნობიერების, პასუხისმგებლობის და აქტიურობის ხარისხობრივი ზრდით; ბ) სტაბილური მრავალპარტიული პოლიტიკური სისტემის შექმნით; გ) დემოკრატიული სამყაროს უსაფრთხოების და თანამშრომლობის სისტემაში სრულფასოვანი ინტეგრირებით.

პრეზიდენტის ამოცანაა საქართველოს ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოებრიობის თანაბარი გავრცელება, განმტკიცება და გაძლიერება, რათა ჩვენს სამშობლოს ჩვენმა სახელმწიფომ უპატრონოს და მრავალპარტიული სხვადასხვაობა საერთო სახელმწიფოებრივმა ერთიანობამ დააბალანსოს.

გარეშე მტრებისა და პერსონალურ ქიშპობაში გართული შიდა პოლიტიკური ძალების გავლენით, სულ უფრო ბევრ მოქალაქეს იპყრობს იმის განცდა, რომ ამ ქვეყანას მეტი არ შეუძლია და ამ ქვეყანაში მას მეტი აღარ შეუძლია - ბევრი ან ტოვებს ქვეყანას, ან რჩება ქვეყანაში, მაგრამ სრულად ემიჯნება საჯარო ცხოვრებას, ანუ საკუთარ სახელმწიფოს. ეს ტენდენცია ქართულ სახელმწიფოს თვითლიკვიდაცისკენ მიაქანებს. ამიტომ პრეზიდენტის ამოცანაა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის და თვითრწმენის აღდგენა და განმტკიცება, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, 1918-21 წლების დემოკრატიული საქართველოს და 1980-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისკვეთების აღორძინება, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული საზოგადოების დემოკრატიული მოდერნიზაციის ხელშეწყობა, ინდივიდუალური, ეროვნული და სახელმწიფოებრივი წარმატების მომტანი „მუდმივად მეტი შესაძლებლობების“ დოქტრინის რეალიზება, ანუ ქვეყნის, ოჯახის და პიროვნების ნაბიჯ-ნაბიჯ, რაციონალური, დაგეგმილი განვითარება.

პრეზიდენტი გვჭირდება, რადგან საქართველოს სჭირდება ნაბიჯები სახელმწიფოს შესაკვრელად, საზოგადოების მოსაწესრიგებლად, ქვეყნის დასალაგებლად, რაც აღმასრულებელი ვალდებულებებისგან და პოლიტიკური პაექრობის აუცილებლობისგან გამომთავისუფლებული სახელმწიფოს მეთაურის გასაკეთებელია.

P.S. კითხვარის ცალკეული თემები (მაგალითად, სოციალური დაცვა, ეკონომიკა, დასაქმება და სხვ.) მნიშვნელოვნად სცილდება პრეზიდენტის კონსტიტუციურ კომპეტენციას და მათზე ჩემი პასუხები უნდა განვიხილოთ, როგორც ჩემი პოზიცია და არა საპრეზიდენტო დაპირება.

**2. განათლება: როგორია თქვენი ხედვა განათლების პოლიტიკის მიმართ? როგორ პოლიტიკას უჭერთ მხარს დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად?**

პირველ რიგში, უნდა დასრულდეს „განათლების პოლიტიკის არქონის პოლიტიკა“ განათლების სისტემაში. სახელმწიფო მმართველობის სფერო, რომელიც ყველაზე სტაბილური უნდა იყოს, ყველაზე ცვალებადია და, საშუალოდ, 2 წელიწადში ერთხელ, ყველაფერი თავიდან იწყება. პრეზიდენტმა განათლების პოლიტიკის სტრატეგიაზე მრავალპარტიული კონსენსუსის მიღწევას უნდა შეუწყოს ხელი, რათა ხელისუფლების ცვლილება მხოლოდ ტაქტიკურ ცვლილებებს იწვევდეს.



ამ მიზნის მიღწევა გაჭირდება, თუ პრეზიდენტი საკუთარი კონცეფციით გამოვა და ფასილიტატორის ნაცვლად, მხარე გახდება.

ამასობაში, პრეზიდენტმა უნდა იაქტიუროს განათლების საკითხებში საზოგადოების განათლებაზე - ცოდნის და პროფესიის, დასაქმების და კვალიფიკაციის, აღზრდის და განათლების, კონკურენციის და წარმატების ურთიერთმიმართების და ურთიერთდამოკიდებულების კარგად გასააზრებლად. პრეზიდენტმა ინდივიდების და საზოგადოების დონეზე უნდა გააღვივოს კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სურვილი, როგორც მეტი და უკეთესი განათლების მიღების მთავარი მოტივაცია.

პრეზიდენტის ხელთ არსებული შეზღუდული ფინანსური რესურსის ნაწილის მიმართვა ხელმოკლე, ან განსაკუთრებული უნარების მქონე ახალგაზრდების სტიპენდიებზე შესაძლოა არ იყოს ურიგო საქმე; მაგრამ ამავე სახსრებით მეტი ახალგაზრდისთვის შეიძლება ხელშეწყობა თუ იგი სისტემური ცვლილებებისკენ, ან კერძო ფონდების მოძიებისკენ იქნება მიმართული.

პრეზიდენტმა, როგორც სახელმწიფოს მეთაურმა, უკეთ უნდა წარმოაჩინოს განათლების მნიშვნელობა XXI საუკუნეში სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში - კიდევ უფრო მკაფიო გახდება მძაფრი კონკურენცია შრომის ბაზარზე, ისევე, როგორც ინფორმაციული შეტევები და პროპაგანდისტული მანიპულაციები სათანადო განათლების არმქონე სოციალურ ჯგუფებზე, რაც არ სცნობს სახელმწიფო საზღვრებს.

**3. გადასახადები: თქვენი აზრით, როგორი საგადასახადო სისტემაა მისაღები საქართველოსთვის და რა პრინციპით უნდა განისაზღვროდეს საშემოსავლო გადასახადი?**

საშემოსავლო გადასახადის არსი ძირფესვიანად არის გადასააზრებელი. დღევანდელი სისტემა ემსახურება მხოლოდ სახელმწიფოს შემოსავლების შევსების ინტერესს და თითქმის მთლიანად არის იგნორირებული გადასახადის გადამხდელთა წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების დამკვიდრების ინტერესი.

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა დაფუძნებულია გადასახადის გადამხდელ და ბიუჯეტის მაკონტროლებელ აქტიურ მოქალაქეზე. ამის საპირისპიროდ, საქართველოს მოქალაქეს არ აქვს ბიუჯეტის მაკონტროლებლის თვითგანცდა, რადგან მას არ აქვს ბიუჯეტის თანამესაკუთრების შეგრძნება. ეს იმიტომ, რომ იგი თავს არ თვლის საშემოსავლო გადასახადის გადამხდელად; ეს იმიტომ, რომ იგი გადახდილ საშემოსავლო გადასახადს არ თვლის თავისი შემოსავლის ნაწილად; ეს იმიტომ, რომ იგი ჯერ „ჯიბეში არ იდებს“ და მერე „ჯიბიდან არ იხდის“ ამ თანხას. შესაბამისად, იგი თვლის, რომ საკუთარი შრომის და ოფლის კუთვნილი გასამრჯელო სულ სახლში წაიღო, ხოლო გადახდილი საშემოსავლო გადასახადი, ისევე, როგორც ბიუჯეტში გადახდილი სხვა გადასახად-მოსაკრებლები, დამქირავებლის „ჯიბიდან“ წავიდა. შესაბამისად, იგი თვლის, რომ თუ მთავრობა მასაც გაუკეთებს რამეს ბიუჯეტიდან, ეს მისდამი გაღებული მოწყალეობაა და არა მისივე შრომის შედეგი, რომელიც მას საჯარო სისტემის გავლით დაუბრუნდა.

ქვეყანაში მცხოვრები ასეთი თვითგანცდის მქონე ადამიანებისგან ვერასოდეს მივიღებთ საკუთარ სახელმწიფოში მცხოვრებ მოქალაქეებს და ვერასოდეს მივიღებთ სახელმწიფოს ამ ქვეყანაში. საჭიროა საშემოსავლო გადასახადის ადმინისტრირების იმგვარ სისტემაზე გადასვლა, როდესაც მოქალაქე



სრულად მიიღებს შემოსავალს და შემდგომ სახელმწიფოს გადაუხდის კუთვნილ გადასახადს. ამ გზით მოქალაქისთვის თანაბარი ფასი, წონა და დატვირთვა უნდა შეიძინოს ელექტროენერჯის მოხმარებისთვის გადახდილმა 50 ლარმა და საშემოსავლო გადასახადის სახით მთავრობისთვის გადაცემულმა 50 ლარმა, შესაბამისი კითხვებით, მოლოდინებით, პრეტენზიებით.

ეს ყველაფერი საჭიროა სახელმწიფოს გასამყარებლად, მოქალაქეების გასააქტიურებლად, მთავრობის ანგარიშვალდებულების გასაზრდელად და არა საგადასახადო სისტემის დასახვეწად. ამიტომაც, ამაზე სახელმწიფოს მეთაურმა უნდა იზრუნოს.

#### **4. ეკონომიკა: როგორი ათქვენი ხედვა ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად?**

საქართველოში მშპ-ს ზრდასთან ერთად არ ხდება ქვეყნის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური ზრდის სიკეთეები მოსახლეობის ფართო ფენებისთვის არ არის ხელმისაწვდომი. ძალიან დიდია უთანაბრობა შემოსავლების გადანაწილებაში, რის გამოც, ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოსახლეობის დიდ ნაწილში სიღარიბის დონე იზარდება.

ეს პრობლემა ისე უნდა მოგვარდეს, რომ ღარიბი გამდიდრდეს და მდიდარი არ გაღარიბდეს. ამისათვის ეკონომიკურ პროცესებში უნდა ჩაერთოს ქვეყნის ბევრად უფრო მეტი მოქალაქე ოღონდ, როგორც სამეწარმეო სუბიექტები და არა როგორც დაქირავებული მუშაკები. ეს კი შესაძლებელია, ერთი მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი განვითარებით და, მეორე მხრივ, კაპიტალის ბაზრის განვითარებით და გაცილებით მეტი მესაკუთრე-აქციონერის გაჩენით.

შესაბამისად, მსხვილი ბიზნესის მხარდაჭერისთვის სახელმწიფო რესურსების გამოყენების პროცესი, ამ ეტაპზე, უნდა შეჩერდეს და ეკონომიკურ განვითარებაზე გათვალისწინებული სახელმწიფო რესურსები მთლიანად უნდა მიემართოს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის. ამ პროცესში აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ევროკავშირის ქვეყნების მიერ მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე გამოყენებული და თანამედროვე შესაძლებლობებთან ადაპტირებული ინსტრუმენტები. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განხორციელდეს გონივრული სექტორული ეკონომიკური პოლიტიკის მეშვეობით, რაც უნდა ეფუძნებოდეს რეალურად არსებულ ადამიანურ, ფინანსურ, ბუნებრივ და სხვა მატერიალურ რესურსებს, რომელთა შორის პირველი რიგის პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველადი წარმოებისა და მისი გადამამუშავების სექტორების სწრაფ განვითარებას; ასევე, ეკოლოგიურად სუფთა სასოფლო პროდუქტების წარმოებასა და გადამამუშავებაში მოწინავე ევროპული ტექნოლოგიებისა და სტანდარტების დანერგვას. რადგან სოფლის მეურნეობა არის ის დარგი, სადაც შედარებით მოკლე დროში შესაძლებელია ზრდის ყველაზე მაღალი შედეგების მიღწევა (მათ შორის ადგილობრივი ბაზრის ხარჯზე), მისი სწრაფი განვითარება დააჩქარებს მომიჯნავე სფეროების განვითარებასაც, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის საგადამხდელო ბალანსს, გაზრდის სასურსათო უსაფრთხოებას, ეტაპობრივად შეამცირებს ჯანდაცვასთან დაკავშირებულ დანახარჯებს და ა.შ.

#### **5. დასაქმება: თქვენი აზრით, რა არის ის ძირითადი ნაბიჯები, რაც სახელმწიფომ უნდა გადადგას უმუშევრობის პრობლემის მოსაგვარებლად?**

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ქვეყანაში დასაქმებისა და დასაქმებულთა შემოსავლების ოდენობაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა, რაც ნიშნავს, რომ ეკონომიკური განვითარების



არსებული ტენდენციებისა და სტრუქტურის პირობებში მისი მკვეთრი გაუმჯობესება არც მომდევნო პერიოდში მოხდება. აქედან გამომდინარე, თვალნათელია, რომ ეკონომიკური პროცესების არსებული სტრუქტურა მოითხოვს მკვეთრ ჩარევას და ადეკვატურ ცვლილებას.

დასაქმებისა და შემოსავლების დონის არსებითი გაუმჯობესებისთვის უმნიშვნელოვანესია მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი განვითარება, ვინაიდან მხოლოდ ამ ფორმითაა შესაძლებელი მოქალაქეთა სამეწარმეო და ინდივიდუალური უნარების ფართოდ გამოყენება და განვითარება, რაც შესაძლებელს გახდის ქვეყანაში ახალი საწარმოო პოტენციალის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, აგრეთვე, მიღებული შემოსავლების ბევრად უფრო მეტ მოქალაქეზე გადანაწილებას. გარდა ამისა, მცირე და საშუალო ბიზნესის სწრაფი განვითარება წარმოადგენს ქვეყანაში სიღარიბის დონის მკვეთრი შემცირების და სოციალური პრობლემების მოგვარების ყველაზე უფრო ეფექტურ მექანიზმს.

აღნიშნულ პროცესში, ევროპული გამოცდილების გათვალისწინებით, სახელმწიფოს როლი უმნიშვნელოვანესია და უკავშირდება შემდეგი პრობლემების გადაწყვეტას: ფინანსურ რესურსებზე, თანამედროვე ტექნოლოგიებზე და ცოდნაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, სათანადო სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების ორგანიზაციული და ფინანსური უზრუნველყოფა, ბუნებრივ რესურსებთან ეფექტური ხელმისაწვდომობა, ბაზარზე კონკურენტული პირობების დაცვა, წარმოებისა და რეალიზაციის სტანდარტების დაწესება და ხარისხის კონტროლი. ასევე, საქართველოს მიერ თავისუფალი საერთაშორისო ვაჭრობის პრინციპების უფრო და უფრო ფართოდ გამოყენების პირობებში, ქვეყანაში არსებული სამუშაო ადგილების დაცვისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნებისთვის, თანდათანობით იკვეთება იმპორტირებული პროდუქტების ხარისხის კონტროლის საკითხი. ამ ნაწილში საჭიროა იმპორტირებულ პროდუქციაზე ხარისხის კონტროლის შემოღება ევროკავშირის სტანდარტებით გათვალისწინებული წესებით.

**6. ჯანდაცვა: რა პოლიტიკასა და კონკრეტულ გადაწყვეტილებებს დაუჭერდით მხარს რათა გაიზარდოს ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და ამალდეს მისი ხარისხი?**

ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონის პირობებში, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის და ხარისხის არასათანადო დონე მოქალაქეების და ოჯახების უმრავლესობას მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას, რომელმაც გარკვეული შედეგები მოიტანა, აქვს პრობლემები საბიუჯეტო სახსრების ოპტიმალურ ხარჯვასთან და ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით. იგი უნდა გარდაიქმნას საყოველთაო სავალდებულო დაზღვევის პრინციპის შესაბამისად. ამასთან, სადაზღვევო შენატანებთან დაკავშირებული დამატებითი ფინანსური ტვირთი მოქალაქეებისთვის და დამქირავებლისთვის არ უნდა გაიზარდოს და უნდა ჩაეტოს დღეს არსებული საშემოსავლო გადასახადის განაკვეთის ფარგლებში. ამ შემთხვევაში, სახელმწიფოს, სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არსებულ ურთიერთობებში სახელმწიფოს საოპერაციო ფუნქციები მნიშვნელოვანწილად ჩანაცვლებული იქნება კერძო სადაზღვევო კომპანიებით. ეს, ერთი მხრივ, გაზრდის სისტემის ფინანსურ ეფექტიანობას, შეამცირებს „გაბერილი ხარჯების“ პრობლემას და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მისცემს საშუალებას, ფოკუსირება გააკეთოს საზოგადოების ყველაზე მოწყვლად ჯგუფებზე, მათი ჯანმრთელობის კერძო დაზღვევის ფინანსური მხარდაჭერის გზით.

სახელმწიფომ მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოში იმ თანამედროვე სამედიცინო სერვისების და პროცედურების დანერგვას, რომელსაც მოქალაქეები საქართველოში ვერ იღებენ და უცხო ქვეყნებში



(თურქეთი, გერმანია და ა.შ.) უწევთ მკურნალობა, რაც მნიშვნელოვან ფინანსურ და ტექნიკურ პრობლემებთანაა დაკავშირებული როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ოჯახებისთვის. გარდა ამისა, სახელმწიფოს პოლიტიკამ ჯანდაცვის სფეროში უნდა უზრუნველყოს ჯანდაცვის დარგის რეალური რეორიენტაცია პირველადი (ამბულატორიული) და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართულებით.

**7. სოციალური უსაფრთხოება: რა პოლიტიკას დაუჭერდით მხარს სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მისაღწევად?**

საქართველოში პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკურმა პროცესებმა მოსახლეობის და ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობისთვის მძიმე სოციალური ფონი ჩამოაყალიბა. ამ მდგომარეობის დაძლევა მხოლოდ სოციალური პროგრამების გზით ჩვენი საბიუჯეტო რესურსების პირობებში სულ უფრო რთულდება და, პრაქტიკულად, შეუძლებელია. შესაბამისად, პარალელურად განხორციელებული ეკონომიკური პოლიტიკის შესაბამისი აქცენტების და მიზანმიმართული, ეფექტიანი სოციალური პოლიტიკის გარეშე შედეგი ვერ იქნება მიღწეული.

სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს დიფერენცირებული. საჭიროა, ერთი მხრივ, საზოგადოების განსაკუთრებით ღარიბი და ღატაკი ფენებისთვის რეალური ეფექტის მომტანი სოციალური დახმარების სისტემის შექმნა და, მეორე მხრივ, საზოგადოების სხვა მოწყვლადი ჯგუფებისთვის, განსაკუთრებით, შრომისუნარიანი წევრებისთვის, იმ პროგრამების განხორციელება, რომელიც მათ ეკონომიკურ პროცესებში მეტ ჩართვას განაპირობებს (მცირე ბიზნესი, სასოფლო-სამეურნეო აქტივობა და ა.შ.)

კონკრეტულ მიზნობრივ ჯგუფებზე მიმართული სოციალური პოლიტიკა უნდა იყოს ურთიერთდაკავშირებული და, ძირითადად, მოიცავდეს: საგადასახადო შეღავათებს და გამოქვითვებს, საპენსიო სისტემას, სავალდებულო სამედიცინო დაზღვევას, სოციალურ შემწეობებსა და სერვისებს, ეკონომიკური აქტივობის მხარდაჭერ პროგრამებს. ამასთან, კანონმდებლობა და პროგრამები ისე უნდა იქნეს შემუშავებული, რომ სოციალური პროგრამები არ ამცირებდნენ ეკონომიკური აქტიურობის სტიმულებს.

სოციალური პოლიტიკის საკვანძო მიმართულებას, ეკონომიკური განვითარების კვალობაზე, საპენსიო დაზღვევის სისტემების განვითარება წარმოადგენს, რაც განხორციელებული უნდა იქნეს საშემოსავლო გადასახადის რეფორმასთან ერთად. ამ ნაწილში უმნიშვნელოვანესია სადაზღვევო პრინციპებზე დაფუძნებული საპენსიო სისტემის კონკრეტული მოდელის ეტაპობრივი დანერგვა.

**8. ნარკოპოლიტიკა: ქვეყანაში მნიშვნელოვანი დისკუსია მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს ნარკოპოლიტიკა. როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხზე?**

ნარკომანია იმ ტიპის პრობლემაა, რომლის მოგვარებაში სახელმწიფო აქტიურად უნდა ჩაერიოს. ჩარევის ინსტრუმენტები და მეთოდები კი უნდა იყოს ეფექტური (გაზომვადი ინდიკატორებით უნდა ვხედავდეთ მკაფიო პოზიტიურ შედეგებს) და არ უნდა იწვევდეს უარყოფით თანამდევ მოვლენებს (ნარკოდამოკიდებულთა და მათი ოჯახის წევრების უფლებების შელახვა; ნარკომანიასთან ბრძოლის რეპრესიული ინსტრუმენტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება; კორუფცია; ნარკომანიის უნებური პოპულარიზაცია).



საქართველოში დღემდე გატარებული რეპრესიული ნარკოპოლიტიკა არის არაეფექტური (ნარკოდამოკიდებულთა რაოდენობა იზრდება და არ მცირდება; სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საშიში ნარკოტიკების მოხმარების დონე იზრდება და არ მცირდება) და თან ახლავს მძიმე თანამდევით უარყოფითი შედეგები (რეპრესიული ინსტრუმენტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება; კორუფცია; უფლებების შელახვა). სისხლის სამართლის კოდექსით და პოლიციით ქურდობას და ნარკომანიას ერთნაირი წარმატებით ვერ დავამარცხებთ: პირველი, მეორისგან განსხვავებით, მორალურად გაკიცხულია თითქმის მთელი საზოგადოების მიერ; მეორეს, პირველისგან განსხვავებით, ავადმყოფები სჩადიან, რომელთა ნებელობითი წინააღმდეგობის დონე მინიმუმზეა დასული.

აშკარად გვჭირდება მეტი შედეგის და ნაკლები ზიანის მომტანი ნარკოპოლიტიკა, რომელშიც რეპრესიული ინსტრუმენტები, პოზიტიური სამოტივაციო ფაქტორები და სამკურნალო მეთოდები უკეთ იქნება დაბალანსებული. ამისათვის საჭიროა პარლამენტის და მთავრობის მიერ შემუშავებული კომპლექსური ღონისძიებების სისტემა, რამაც დააგვიანა და მივიღეთ ყველაზე უარესი - საკონსტიტუციო სასამართლომ, მხოლოდ უფლებრივ ასპექტებზე დაყრდნობით (სხვა მას არც არაფერი შეეძლო...), ფუნდამენტური ცვლილება შეიტანა სამართლებრივ რეჟიმში. ეს სინამდვილეში ნაწილობრივ დეკრიმინალიზაციას ნიშნავს, მაგრამ საზოგადოებამ აღიქვა, როგორც სრული ლეგალიზაცია. ამ საკითხზე ჩვეულ კონფრონტაციულ და ზედაპირულ სტილში გამართულმა პოლიტიკურმა დებატებმა კი ბევრ მსმენელ-მაყურებელზე ნარკოტიკის პოპულარიზაციის ეფექტი უფრო მოახდინა, ვიდრე ნარკომანიასთან განსხვავებული, უფრო ჰუმანური და ეფექტური მეთოდებით ბრძოლის.

დღეს ნარკომანიასთან ბრძოლის ნაცვლად ვებრძვით და ვასუსტებთ ერთმანეთს და ყვავის ნარკომანია და ნარკომავია. აუცილებელია ამ საკითხზე მეტი საზოგადოებრივი დისკუსია, მეტი კვალიფიციური სპეციალისტის ჩართვა, მეტი კონსენსუსი. უკეთ უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების რეალური მდგომარეობა და უკეთ უნდა გავიაზროთ ნარკომანიის წამახალისებელი მოვლენები ჩვენს საზოგადოებაში.

**9. ადგილობრივი თვითმმართველობა: თქვენი აზრით, რა პრინციპით უნდა იყოს ორგანიზებული ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში?**

ქვეყნის დემოკრატიული და ევროპული განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მკვეთრი დეცენტრალიზაციით და მმართველობის სამდონიანი სისტემით - ცენტრალური მმართველობა, რეგიონული თვითმმართველობა, მუნიციპალური თვითმმართველობა. რეგიონულ დონეზე თავი უნდა მოიყაროს იმ კომპეტენციებმა, რომელთა ცენტრალურ დონეზე განხორციელება სუბსიდიარობის პრინციპის დაცვით ვერ ხერხდება, ერთი მხრივ, და მათი მუნიციპალურ დონეზე განხორციელება არაეფექტიანია, მეორე მხრივ. მუნიციპალური ორგანოები სრულად უნდა გათავისუფლდნენ ცენტრის პოლიტიკური ნების შემსრულებლების ფუნქციიდან და უნდა გარდაიქმნან ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების და მოთხოვნილებების შესაბამისი ხარისხიანი სერვისების მიმწოდებლებად, სათანადო ფინანსური რესურსებით. აუცილებელია საბჭოთა ცენტრალიზებული მმართველობის შესაბამისად შექმნილი რაიონების დაყოფა უფრო მომცრო მუნიციპალიტეტებად, რომლებში შემავალი დასახლებული პუნქტების მოსახლეობასაც



ექნება გაცილებით მეტი საერთო ინფრასტრუქტურული, საირიგაციო, სატრანსპორტო და სხვა ინტერესები.

გონივრული ურბანიზაციით - საშუალო და დიდი სოფლების მცირე და საშუალო ქალაქურ დასახლებებად გარდაქმნით - დაიძლევა ქართული სოფლის დაცარიელების არსებული ტენდენცია. ეს ნიშნავს არა სახელმწიფო ორგანოების დედაქალაქიდან რეგიონებში გადატანას, არამედ რეგიონებში სამუშაო ადგილების შექმნას, ბიზნესის აქტიურობის არეალის გაფართოებას, ღირსეული ცხოვრებისა და საქმიანობის შესაძლებლობების გაჩენას, რაც ჩამოაყალიბებს უცხოეთსა და დედაქალაქში იძულებით მიგრირებული მოსახლეობის უკან დაბრუნების გრძელვადიან ტენდენციას.

აუცილებელია რეგიონების თანაბარი ურბანიზაცია, სხვაობის შემცირება ცენტრისა და პერიფერიის მოსახლეობის ცხოვრების დონეში, საყოფაცხოვრებო პირობებსა და საჯარო მომსახურების გაწევაში. საქართველო ყველგან საქართველო უნდა გახდეს ისე, როგორც ეს მიღწეულია ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც დედაქალაქსა და ცენტრიდან მოშორებულ პატარა დასახლებულ პუნქტში თანაბრად იგრძნობა ერთიანი სახელმწიფოს არსებობა მომსახურების ხარისხში, სტანდარტში, ხელმისაწვდომობაში. სანამ თბილისის ცენტრში და ჯავახეთის თუ კახეთის რომელიმე სოფელში მცხოვრებ ბავშვებს ესოდენ განსხვავებული პირობები აქვთ ჯანდაცვის, განათლების, გართობის, წყალმომარაგების, დაცულობის, პიროვნული განვითარების და სხვა მიმართულებით, ჩვენ ერთიან სახელმწიფოზე მხოლოდ პირობითად ვსაუბრობთ. სახელმწიფოს მეთაურის საქმეა ქართული სახელმწიფოებრიობის ამ უდიდესი პრობლემის დასაძლევად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ძალების მობილიზება.

**10. ტერიტორიული მთლიანობის საკითხები: რა კონკრეტულ ნაბიჯებს გადადგამთ ხალხთა შორის ნდობისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის?**

შექმნილ ვითრებაში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხდება არა ეროვნული ან რეგიონული, არამედ გლობალური ძალთა ბალანსის ცვლილების პირობებში. ეს ცვლილება აუცილებლად მოხდება, როგორც ცივილიზაციის განვითარების მორიგი კანონზომიერება და იგი გახსნის გზას გამთლიანებისკენ. ჩვენი ამოცანაა, ამ ცვლილების მომწიფებას და გზის გახსნას მაქსიმალურად მომზადებული შევხვდეთ, რათა გამთლიანების ობიექტურად რთულ პოლიტიკურ, ადამიანურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და სტრუქტურულ ასპექტებს წარმატებით გავუმკლაოდეთ.

შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტი თავის მნიშვნელოვან როლს ითამაშებს: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სახელმწიფო სტრატეგიის დახვეწის, მასზე ფართო პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის და შესაბამისი გრძელვადიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემკვიდრეობითობის უზრუნველყოფაში; დემოკრატიული სამყაროს მიერ არალიარების პოლიტიკის შენარჩუნებაში; საზოგადოებაში რაციონალური სახელმწიფოებრივი მიდგომების დამკვიდრებასა და იმ სტერეოტიპების დაძლევაში, რის გარეშეც მომავალი შერიგება და გამთლიანება შეუძლებელი იქნება; ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლების, დასაქმების და წარმატების მიღწევის იმაზე უკეთესი ალტერნატივების გაჩენაში, რასაც რუსეთი სთავაზობს, მათ შორის, ევროკავშირთან ასოცირების და ვიზალიბერალიზაციის შედეგად გაჩენილ შესაძლებლობებზე მათი ხელმისაწვდომობის გაზრდაში; ჟენევის ფორმატის ხელშეუხებლად აფხაზებთან და ოსებთან თემატური დიალოგის, რაც შეიძლება, მეტი ფორმატის გაჩენაში; ოკუპაციის ხაზებს მიღმა მცხოვრები



მოქალაქეების სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობის წახალისებაში; აფხაზურის, როგორც მეორე სახელმწიფო ენის, პოპულარიზაციაში.

ამავე მიმართულებით პრეზიდენტის სრულიად განსაკუთრებულ ფუნქციად იკვეთება საქართველოს სახელმწიფოს წარმოჩენა, როგორც დემოკრატიული, წარმატებული, უსაფრთხო, ყველა მოქალაქის მფარველი, დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვანი და საჭირო პარტნიორი ქვეყნის. უნდა გვახსოვდეს, რომ გამთლიანება მოგვიწევს აფხაზების იმ თაობებთან, რომელთა მოტივაციები დაცლილი იქნება წარსულ-ემოციურისგან („თვალცრემლიანი შეხვედრა ბავშვობის მეგობრებთან, ვისთანაც ხიდი ჩაგვიტყდა“) და სავსე იქნება მომავალ-რაციონალურით („უკეთესი გარემო ჩემი ინდივიუალური და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის“).

**11. ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში: გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ) და პოზიცია ქალთა პოლიტიკაში თანამონაწილეობის გაზრდისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ.**

ჯერ კიდევ ათიოდე წლის წინ მჯეროდა, რომ ქალთა უფლებების საკითხი, ზოგადად, და მათი სრულფასოვანი პოლიტიკური თანამონაწილეობა, კონკრეტულად, სპეციალურ საკანონმდებლო-ადმინისტრაციულ ზომებს არ საჭიროებდა და „ცხოვრებას ეს თავისთავად მოჰქონდა“. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. ქვეყანაშიც და ქვეყნის გარეთაც აშკარაა თითქოს უკვე გადახდილი ღირებულებითი ბრძოლების განახლება, თითქოს უკვე მიღწეული კონსენსუსების დარღვევა, თითქოს უკვე სრულად და ყველას მიერ უარყოფილი სოციალური მოდელებისკენ შებრუნება.

ამ ტენდენციებმა ცუდ დროს მოუსწრო პატრიარქალურ-კომუნისტური წიაღიდან გამოსვლის პროცესში მყოფ ქართულ საზოგადოებას, ზოგი უკვე მორყეული სტერეოტიპი კიდევ უფრო გაამყარა და საჭირო გახადა მათ გადასალახად კონკრეტული ზომების მიღება. უნდა შეიცვალოს საზოგადოებაში გავრცელებული, უსაფუძვლო წარმოდგენები და ტენდენციები, რათა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა ქალებისთვისაც ისეთივე ბუნებრივი გახდეს, როგორც ეს დღემდეა კაცებისთვის.

ამიტომ, ბოლო წლებში მხარს ვუჭერდი და ვუჭერ ქალთა მონაწილეობის უზრუნველყოფის სპეციალურ ზომებს და კვოტებს. საარჩევნო კანონმდებლობაში გენდერული კვოტები მაქსიმალურად უნდა აისახოს და არა მინიმალურ-სიმბოლურად (მაგალითად, მეტი დაფინანსება მეტი ქალი კანდიდატის გამო). მნიშვნელოვანია ეგრეთწოდებული მამაკაცური პროფესიების დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში ქალთა მონაწილეობის ზრდა. მაგალითად, სავალდებულო სამხედრო სამსახურის თანაბრად დაკისრება მამაკაცებისა და ქალებისათვის, ოღონდ, იმ მოდელით, რაც თავდაცვის ორგანიზაციის სეგმენტშია აღწერილი.

პრეზიდენტის მიერ ამ საკითხში მაღალი და მისაბამი სტანდარტის დასამკვიდრებლად, გამარჯვების შემთხვევაში, პრეზიდენტის ადმინისტრაციის დაკომპლექტებისას ქალების და მამაკაცების თანაბარი წარმომადგენლობა იქნება უზრუნველყოფილი. ამასთანავე, ეს ყველაფერი უზრუნველყოფილი იქნება არა „ზედა ეშელონებში ბევრი კაცით და ქვედა ეშელონებში ბევრი ქალით“, არამედ „ყველა ეშელონში თანაბარი წარმომადგენლობით“.





**12. ეროვნულ და რელიგიურ უმცირესობათა უფლებები: როგორია თქვენი ხედვა ეროვნული თუ რელიგიური უმცირესობების უფლებათა დაცვისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტი ინტეგრაციის თაობაზე?**

ჩემთვის, როგორც მოქალაქისა და პოლიტიკოსისთვის, მთავარი ღირებულებები არის ადამიანი, მისი თავისუფლება და უფლებები. ამასთანავე, სახელმწიფოს მხრიდან მეტი ყურადღება სჭირდება ადამიანთა იმ ჯგუფებს, ვისაც დამატებითი დაბრკოლებების გადალახვა უწევთ საკუთარი უფლებების რეალიზებისთვის. ეროვნულ, რელიგიურ და სხვა უმცირესობებს სწორედ ასეთი, თითქმის გარდაუვალი დაბრკოლებები ექმნებათ და სწორედ ამიტომაც მათზე მეტი ზრუნვა აუცილებელია.

უმცირესობა არ ნიშნავს „დამცირებულს“ ან „მცირედ ადამიანს“. უმრავლესობად და უმცირესობად სრულუფლებიანი და „სრულად ადამიანი“ ადამიანები იყოფიან. ამ ელემენტარული პრინციპის გაცნობიერება და როგორც შინაგანად, ინდივიდუალურად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში განუხრელად დაცვა და ერთგულება ყოველი ჩვენგანის, საქართველოს ყოველი კულტურული და კანონმორჩილი მოქალაქის მოვალეობაა, რომლის განმარტება და დამკვიდრებისთვის ხელშეწყობა სახელმწიფო ინსტიტუტების უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის უნდა იყოს. დემოკრატიულ და სამართლებრივ საქართველოში ნებისმიერი ადამიანის უფლებების დარღვევა არის და იქნება დანაშაული, ხოლო ვინმეს „ცოტაობის“ გამო დაჩაგვრა იქნება დანაშაული, რომელიც ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში.

რაც შეეხება მათ ჩართულობას სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ეს არის არც მეტი, არც ნაკლები, ჩვენი სახელმწიფოებრიობის, შესაძლოა, ყველაზე საშური კომპონენტი. ჩვენი სახელმწიფოებრიობა ვერ ვრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ეს მიუღებელია, მაგრამ ახსნადია. თუმცა მიუღებელია, აუხსნელია და სავალალოა სახელმწიფოებრიობის (კანონის, პოლიტიკის, სახელმწიფო ენის, საერთო სიხარულის, საერთო ჭირის) გავრცელების მდგომარეობა უმცირესობებით დასახლებულ სხვა რეგიონებში. პრეზიდენტის მიერ სახელმწიფო უსაფრთხოების ამოცანის დონეზე იქნება დასმული ეროვნული და რელიგიური უმცირესობების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდუალური და რეგიონული თანამონაწილეობის 10 წლიანი პროგრამის შემუშავება და რეალიზება. პროგრამის ერთ-ერთი მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში უმცირესობების წარმომადგენელთა ჩაბმა მათი მისწრაფების, უნარისა და კომპეტენციის ჰარმონიული განვითარების საფუძველზე; ცხადია, არა მათი კულტურულ-ეთნიკურ-რელიგიური თავისებურებების ნიველირების მიზნით, არამედ მათში საქართველოს სრულფასოვანი მოქალაქის იდენტობის გაღვივებისთვის.

**13. სექსუალურ უმცირესობათა უფლებები: რას ფიქრობთ სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი თანასწორუფლებიანობის უზრუნველყოფის საკითხზე?**

საზოგადოების ცივილიზებულობის და დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და მგრძნობიარე მაჩვენებელია ქვეყანაში უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ არც სხვა უმცირესობების მიმართლებით გვაქვს იდეალური მდგომარეობა, საქართველოში ამგვარ მაჩვენებლად იქცა სექსუალურ უმცირესობათა უფლებრივი საკითხი. აშკარაა,



რომ სწორედ ეს ჯგუფი აღმოჩნდა საზოგადოების ნაწილში ზოგადად ყველანაირი უმცირესობის წინააღმდეგ დაგროვილი სიძულვილის კონცენტრირების ადგილი. განსხვავებულის უფლებების მიუღებლობა საკუთარ თავისუფლებასთან ვერ გამკლავების შედეგია, რაც პოსტკომუნისტურ-ტოტალიტარულ საზოგადოებების მთავარი გამოწვევაა და რაც უნდა დავძლიოთ.

ამასთანავე, აუცილებელია უმცირესობის უფლებების საკითხში, სამართლებრივის გარდა, სხვა ისტორიულ-კულტურული ფაქტორებიც გავითვალისწინოთ და ღირებულებების საზოგადოების მიერ გათავისება დროში გაწევილ პროცესად დავინახოთ და არა მყისიერ „განათებად“. ისე არ უნდა გავიგოთ, რომ სხვადასხვა უმცირესობების რიგში ჩაყენებას და მათი უფლებების დროში გაწერილი გრაფიკით რეალიზებას ვგულისხმობ. ცხადია, ყველა უფლება დაცული უნდა იყოს აქ და ახლავე. მაგრამ, რაც შეეხება მოქალაქეების თუ საზოგადოების ცნობიერებაში სიახლეების დამკვიდრებას, აქ ნამდვილად საჭიროა გარკვეული მოქნილობა, სიფრთხილე და თანმიმდევრულობა. რა თქმა უნდა, არის „მოკური თერაპიის“ ტაქტიკაც, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ „მოკური რეაქციებისთვისაც“. გზა, რომელიც დემოკრატიულმა სამყარომ 100 წლის განმავლობაში, ოთხი თაობის მონაცვლეობის პროცესში გაიარა, ჩვენ 10 წლის განმავლობაში „მესამედი“ თაობით გვაქვს ხოლმე გასავლელი და ეს უნდა შევძლოთ. თუმცა, ამავე გზის 1 წელიწადში გავლის მცდელობამ შესაძლოა ეს გზა 10 კი არა, 50 წლით გაგვიხანგრძლივოს.

სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დაცვა ყველა შესაძლო ფორმის დისკრიმინაციისგან სახელმწიფოს პრესტიჟის საქმედ იქცა. ეს იმიტომაც, რომ წარმატებით გავუმკლავდეთ რუსული „რბილი ძალის“ შანტაჟს (ევროპა=ლგბტ) და იმიტომაც, რომ არ დავუშვათ ადამიანთა ჯგუფისთვის ადამიანის ძირითადი უფლებების აყრის უაღრესად სახიფათო პრეცედენტი. ხოლო ვისაც გულწრფელად სჯერა, რომ სექსუალური უმცირესობის გამო ერს გადაგვარება და გადაშენება ემუქრება, მას საპასუხო „ტაბურეტი“ არ უნდა მოვუღეროთ, მას მეტი და უფრო გასაგებად უნდა ავუხსნათ.

**14. გარემოს დაცვა/ეკოლოგია: გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც მიმართულია უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.**

ამ სფეროში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მოვასწარით ყველაფრის განადგურება და გვაქვს მოსავლელიც, გადასარჩენიც და აღსადგენიც. ჩვენი საცხოვრებელი გარემო უნიკალურია, მაგრამ მისი გაჯანსაღების და შემდგომი უსაფრთხოების უზრუნველმყოფი მეთოდები, რეგულაციები და ინსტრუმენტები არ არის უნიკალური. ეკოლოგიური და ფიზიკური სისტემების სტაბილურობისთვის გვჭირდება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა. უაღრესად მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროგაერთიანების კანონმდებლობასთან და ევროგაერთიანების დირექტივების სრულად გათვალისწინება.

მხარდაჭერილი იქნება ყველა ის საკანონმდებლო ინიციატივა თუ სამთავრობო ქმედება, რომელიც მიმართული იქნება ადამიანზე გარემოს ზიანის მიმყენებელი რისკების შემცირებაზე: განახლებადი ენერჯიების ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება; წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესება; ქალაქებში მწვანე ნარგავების კვოტების დადგენა; მწვანე საფარის აღდგენა და ახლის გაშენება; დაცული ტერიტორიების სისტემის გაძლიერება; კერძო სექტორისთვის სამოტივაციო სისტემების შექმნა და სხვა.



სიჯანსაღესთან ერთად საჭიროა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია სტიქიური მოვლენების პროგნოზირების, თავიდან აცილების, მათთან გამკლავების, მოსახლეობის ინფორმირების და განათლების ეფექტური სისტემის ქონა. ჩვენი ქვეყნის მთავარი სიმაღლი და სიღამაზე - ჩვენი მთები, მდინარეები და ტყეები - ზოგჯერ ჩვენივე მოქალაქეებს უქმნის სერიოზულ საფრთხეს. ამ საკითხშიც საჭიროა სხვა მსგავსი რელიეფის, კლიმატის თუ განსახლების არეალის მქონე ქვეყნების მდიდარი გამოცდილების გაზიარება.

**15. საგარეო პოლიტიკა და სტრატეგიული თანამშრომლობა: რომელ ქვეყნებთან/ქვეყანათა გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის ფორმირებასა ან განმტკიცებაზე? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

საქართველოს სწრაფვა ევროპული ერების ოჯახში ადგილის დამკვიდრებისკენ არ გახლავთ არც გარედან თავსმოხვეული და არც ამა თუ იმ ხელისუფლების ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება; თავისი კულტურით, ცნობიერებითა და იდენტობით საქართველო ევროპული ქვეყანაა, რომელიც ძალდატანებით იყო ხოლმე მოწყვეტილი მშობლიურ ცივილიზაციურ გარემოს.

დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკისა და დიპლომატიის უმთავრესი მიღწევა ევროატლანტიკური კურსის მემკვიდრეობითობის უზრუნველყოფაა: ხელისუფლებები იცვლებოდა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია კი ურყევი რჩებოდა. შედეგად, დღეს საქართველო თავისუფალი (დასავლური) სამყაროს საიმედო და ღირსეული პარტნიორია; არსებითად - მისი შემადგენელი ნაწილია კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და ნებისმიერი სხვა კუთხით და ელის მომენტს, როცა ეს მდგომარეობა ფორმალიზებული იქნება ნატოში და ევროკავშირში წევრობით. ამ მომენტის მოახლოება კი აუცილებელია როგორც მრავალმხრივ, ისე ორმხრივ ფორმატებში შესაძლებლობების მთელი სპექტრის გამოყენება/განვითარებით. რაკი კონსტიტუციის თანახმად „საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს საქართველოს საგარეო ურთიერთობებში“ (მუხლი 46.2), „აწარმოებს მოლაპარაკებებს სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დებს საერთაშორისო ხელშეკრულებებს“ (მუხლი 49.1.ა), მთავრობასთან კოორდინირებული მისი აქტივობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს.

გეოპოლიტიკურ პროცესებში გამოკვეთილი ძირითადად უარყოფითი ტენდენციების გამო, უახლოესი წლები არ იქნება მარტივი; განსაკუთრებით რისკიანი იქნება ეს წლები მომცრო სახელმწიფოებისთვის, რომლებზეც ავტომატურ რეჟიმში არ ვრცელდება კოლექტიური უსაფრთხოების რომელიმე სისტემის (ჩვენს შემთხვევაში - ნატოს) გარანტიები. უსაფრთხოების ამგვარი უკმარისობის კომპენსირება შესაძლებელია შიდა და გარე რესურსების მაქსიმალური მობილიზებით და, ამ უკანასკნელი თვალსაზრისით, აშშ-ის მნიშვნელობა საქართველოსთვის სრულიად უნიკალურია. აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია საუკეთესო სასტარტო პოზიციაა ორმხრივი სარგებლიანი ურთიერთობების შემდგომი ინსტიტუციონალიზაცია/გაღრმავებისთვის, განსაკუთრებით - ვაშინგტონის ამჟამინდელი ადმინისტრაციის სწორედ ორმხრივი ფორმატებისკენ მიდრეკილების პირობებში.



**16. საქართველო და ევროკავშირი: (თუკი ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტიკა) თქვენი აზრით, რა უნდა იყოს საქართველოს შემდეგი ნაბიჯი ან დიპლომატიური ინიციატივა ევროინტეგრაციის გზაზე?**

ევროკავშირი ამჟამად რთულ მდგომარეობაშია, რადგან ერთგვარად მოუმზადებელი შეხვდა სხვადასხვა მხრიდან (მათ შორის - შიგნიდან) ერთდროულად გაჩენილ გამოწვევებს: პუტინისეული რევიზიონიზმი/რევანშიზმი, მიგრანტთა მოზღვაება, ბზარები ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში, ბრექსითი, პოპულისტების შემოტევა მარჯვნიდან თუ მარცხნიდან და ა.შ. ამგვარი ვითარება გაურკვეველ მომავალში გადაწევს ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას, რაც, ასევე სამომავლოდ გადაწევს გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობის შესაძლებლობას, თუმცა, საქართველოს მხრიდან გონივრული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, ერთგვარი კომპენსაციის მიღებაც გახდება შესაძლებელი. ჯერ ერთი, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება (თავისუფალი ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი კომპონენტიურთ) უზარმაზარ რესურსს შეიცავს, რომლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია ჯერ-ჯერობით ათვისებული. მთავარი კი ისაა, რომ რაკი გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, შემდგომი დაახლოების ეკონომიკურ სეგმენტში საქართველო თავისუფლების შედარებით მაღალი ხარისხით ისარგებლებს (დემოკრატიის ნაწილს ეს არ ეხება) და მეტი შანსი ეძლევა პრიორიტეტები და ვადები ისე განსაზღვროს, როგორც ეს მას წარმოუდგენია, მოახდინოს იმ ნორმებისა და რეგულაციების ამოქმედება, რომელთა ასამოქმედებლად მზად იქნება და რომელთა ამოქმედება არ დააზარალებს ქვეყნის ეკონომიკას. არსებითად, ეს იქნება ევროკავშირში ეტაპობრივი, სექტორალური გაწევრიანების პროცესი ფორმალური გაწევრიანების სამომავლოდ გადადებით. ამ გეგმის წარმატებით ხორცშესხმა, სულ მცირე, ორ პირობას მოითხოვს: ვირტუოზულ პოლიტიკურ-დიპლომატიურ უზრუნველყოფას გარეთ და უნაკლო დემოკრატიულ პროცესს ქვეყნის შიგნით.

**17. რეგიონული თანამშრომლობა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს როლი სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მეორე უმნიშვნელოვანესი მიღწევაა ერთდროულად ჩვენს ორივე სამხრეთკავკასიელ მეზობელთან (აზერბაიჯანი და სომხეთი) პარტნიორული, დინამიკურად განვითარებადი ურთიერთობების შენარჩუნება, რაც არაა იოლი ამოცანა ყარაბაღის გამო მოუგვარებელი კონფლიქტის პირობებში. საქართველომ სტაბილურად კარგი ურთიერთობები დაამყარა ყველა ახლო თუ შორეულ მეზობელთანაც (ერთის გამოკლებით) და შეიძინა კეთილმეზობლობასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული, გახსნილი სახელმწიფოს რეპუტაცია. იგი მოსახერხებელ მოედნად იქცა არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის, არამედ სხვადასხვა ცივილიზაციის წარმომადგენელთა კონტაქტებისთვის ბიზნესის, კულტურის, მეცნიერების, განათლებისა და ხელოვნების სფეროებში. საქართველოს საკომუნიკაციო-სატრანზიტო ფუნქცია, მათ შორის - ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროში, როგორცაა ენერგეტიკა, აქცევს მას შეუცვლელ პარტნიორად როგორც მის აღმოსავლეთით, ისე დასავლეთითა და სამხრეთით მდებარე ქვეყნებისთვის. გეოგრაფიულ მდებარეობასთან შერწყმული მისი გახსნილობა განსაზღვრავს საქართველოს მნიშვნელობას ვრცელი (და ჭრელი) არეალისთვის. თუმცა, საქართველოს „რბილი ძალის“ პოტენციალი ჯერ კიდევ შორსაა ამოწურვისაგან და მისი რეალიზების მიმართულებით მუშაობამ გააზრებული და სისტემური ხასიათი უნდა შეიძინოს საერთოეროვნულ დონეზე.



თავის მხრივ, საქართველოს „საჭიროება“ მრავალი მეზობლისთვის ზრდის მისი უსაფრთხოების ხარისხს, რადგან აგრესია საქართველოს წინააღმდეგ უშუალოდ დააზარალებს სხვებსაც. საკმარისია გავიხსენოთ, რომ 2008 წელს რუსეთის არცერთმა მოკავშირემ მას მხარი არ დაუჭირა და დღემდე არცერთს არ უღიარებია აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი.

იმავდროულად, საქართველოს ძალუმს თავისი წვლილის შეტანა შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში და იძლევა კიდევ ამის თაობაზე არაორაზროვან სიგნალებს. 2008 და 2014 წლებში, შესაბამისად, საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შედეგად ძალთა ბალანსი შავ ზღვაზე დაირღვა და მისი უსაფრთხოების საკითხი აქტუალური გახდა ნატოს ფორმატში. საქართველოს ხელისუფლებისა და მისი უახლოესი მოკავშირეების ამოცანაა, რომ შესაბამისი პრობლემატიკის განხილვა და გადაწყვეტილებების შემუშავება ჩვენი ქვეყნის უშუალო მონაწილეობით მოხდეს.

### **18. თავდაცვის პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის ორგანიზაცია? სამხედრო სამსახურის როგორ ფორმას უჭერთ მხარს?**

ნაწილობრივი ოკუპაციის და მუდმივი საფრთხის მოლოდინის პირობებში მყოფი, პატარა და მცირე ეკონომიკის მქონე სახელმწიფოსთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის თავდაცვის ორგანიზება ყველა სახელმწიფო რესურსის კოორდინაციით და თავმოყრით. შესამუშავებელია სრულყოფილი, მრავალკომპონენტური სტრატეგიული თავდაცვის კონცეფცია და გეგმა, რომელიც შესაძლებელს გახდის საფრთხის მატების პირობებში ნებისმიერმა სახელმწიფო ინსტიტუტმა და მოქალაქემ იცოდეს, ერთი მხრივ, თავდაცვისათვის საჭირო ქვეყნის წესები, ხოლო, მეორე მხრივ, საკუთარი როლი ქვეყნის უსაფრთხოების განტკიცებაში. მაგალითად, ლიცენზირებულ საქმიანობას დაქვემდებარებული სატრანსპორტო საშუალებების მეპატრონეებმა - “ა” პუნქტიდან “ბ” პუნქტში ცოცხალი ძალის გადაყვანის სქემა; სამედიცინო პერსონალმა - საომარ მდგომარეობაში მათი განაწილების სქემა; IT სპეციალისტებმა - ქვეყანაზე კიბერ შეტევების მოქმედების სცენარები; ინჟინრებმა - მობილიზაციის გამოცხადებისას მათი მოქმედების გეოგრაფია; მთელმა საზოგადოებამ - პასუხის გაცემის ფორმები საინფორმაციო ომის დროს და სხვა.

ჯარის სრულად პროფესიულ-საკონტრაქტო პრინციპებზე გადაყვანასთან ერთად, სამხედრო სამსახური სავალდებულო უნდა იყოს ყველასთვის (იგულისხმება ქალებიც) იმ პირობით, რომ ყველას შეეძლება ამგვარი კონსტიტუციური ვალდებულების შესრულება მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, შეთანხმებული გრაფიკით. სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდა არ უნდა იყოს დაკავშირებული ფორმით და იარაღით ხელში რომელიმე კონკრეტულ პუნქტში გამოცხადებასთან. არსებული ადამიანური და ფინანსური რესურსების ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ეფექტურად და რაციონალურად გამოყენებისათვის ახალგაზრდების რეკრუტირება უნდა მოხდეს მათი სპეციალობების და უნარების მიხედვით. მაგალითად, სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები სამხედრო სამსახურს გაივლიან სამხედრო ჰოსპიტალში, ან სამედიცინო ბატალიონში, სადაც შეიძენენ სავალდებულო პირობებში ოპერირებისათვის საჭირო უნარებს და იმავდროულად დახარჯული დრო, აკადემიური კრედიტების სახით, ჩათვლებათ საკუთარ უნივერსიტეტში. ანალოგიურად უნდა მოხდეს ჯარისთვის საჭირო სხვა პროფესიების შევსება სამოქალაქო პერსონალით, რომელიც სამხედრო სავალდებულო სამსახურის პირობებში შესაბამის უნარ-ჩვევებს მიიღებს.



ქვეყანაში უნდა არსებობდეს სარეზერვო სამსახური. იგი უნდა იყოს, ერთ მხრივ, პროფესიული საბრძოლო (სამხედრო წვრთნა გავლილი პირების) რეზერვის და, მეორე მხრივ, სრულფასოვანი თავდაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელი პროფესიების წარმომადგენელთა ნებაყოფლობითი გაერთიანება.

### 19. უსაფრთხოების პოლიტიკა: როგორ წარმოგიდგენიათ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?

„ქართული ოცნების“ არცერთი პრემიერ-მინისტრის ყურადღების ფოკუსში უსაფრთხოების პრობლემატიკა არ მოქცეულა; ვერც მოქმედ პრეზიდენტს მოუხერხდა ვითარების გამოსწორება. შედეგად, მივიღეთ პარადოქსული მდგომარეობა, როცა ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში ხან ორი პარალელური ორგანო გვყავდა (უშიშროების საბჭო და უსაფრთხოების საბჭო), შემდეგ კი ორივეს გაუქმება გადაწყდა (კონსტიტუციის ახალი რედაქციით გათვალისწინებული „თავდაცვის საბჭო“ ფიქტიური ორგანო იქნება, რადგან საკუთარი აპარატი არ ეყოლება და შეიკრიბება მხოლოდ ომიანობის დროს, ანუ მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება). რაკი უწყებათაშორისი კოორდინაცია სათანადოდ არაა აწყობილი, პასუხისმგებლობა კი გაბნეულია და უსაფრთხოების სფეროში ზოგი ფუძემდებლური დოკუმენტი უმოწყალოდ მოძველებულია (ასეთია, მაგალითად, 2011 წლის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია), კანონმდებლობა დახვეწა/ჰარმონიზებას, ხოლო მთლიანად უსაფრთხოების სისტემა გამართვას მოითხოვს.

უსაფრთხოების პრობლემატიკამ უნდა დაიმკვიდროს ერთ-ერთი პრიორიტეტული ადგილი ხელისუფლების დღის წესრიგში და მომავალი პრეზიდენტი (და მთავრსარდალი - კონსტიტუცია; მუხლი 46.2) მოწოდებულია თვალსაჩინო როლი შეასრულოს ამ მართლაც რომ სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეში. მოკლე დროშია მისაღები კანონი უშიშროების/უსაფრთხოების საბჭოს შესახებ (სამომავლოდ კი მას უნდა აღუდგეს კონსტიტუციური სტატუსი), რომელიც იქნება მუდმივმოქმედი ორგანო, მისი აპარატის შესაბამისი საკადრო/საექსპერტო, საინფორმაციო და სხვა სახის უზრუნველყოფით. უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის მოწესრიგების შედეგად უნდა გამოირიცხოს ფუნქციების დუბლირება და პარალელიზმი, მკაფიოდ გაიწეროს კომპეტენციები, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, ხარისხობრივად გაუმჯობესდეს საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლი თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორზე. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები პერსონალურად და სისტემატურად უნდა მონაწილეობდნენ წვრთნებსა და იმიტაციურ ვარჯიშებში, რათა შეიძინონ ექსტრემალურ (საგანგებო და საომარი მდგომარეობა) და არაორდინარულ (ე.წ. ჰიბრიდული ომის გამოვლინებები) ვითარებაში გადაწყვეტილებების ოპერატიულად მიღება-აღსრულების უნარ-ჩვევები. მთლიანად ქვეყნის უსაფრთხოების სისტემა აგებული უნდა იყოს ნატოს საუკეთესო პრაქტიკების საფუძველზე საქართველოს ადგილმდებარეობის, მისი ტერიტორიების ნაწილის ოკუპაციის, საყოველთაო და სპეციფიკური რისკებისა და გამოწვევების გათვალისწინებით.